



## საქართველოს მთავრობა

### საქართველოს პრეზიდენტის

გიგზავნით საქართველოს მთავრობის განკარგულებას „2023 წლის 13-16 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებულ წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

პრემიერ-მინისტრი

A blue ink signature of Giorgi Margvelashvili, the Prime Minister of Georgia, written in Georgian script above a blue oval-shaped official seal.

ირაკლი ღარიბაშვილი



## საქართველოს მთავრობის განდარგულება

N 500 2023 წლის 13 მარტი ქ. თბილისი

2023 წლის 13-16 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში  
საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებულ  
წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“  
ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის,  
უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის  
7<sup>4</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს მიეცეს თანხმობა 2023  
წლის 13-16 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში  
ევროპის კავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფის  
მიზნით, სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებულ 2023 წლის 10 მარტის №1717  
წერილით წარმოდგენილ წინადადებაზე.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია



KA000060889610123

№1718

10 / მარტი / 2023 წ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7<sup>4</sup> მუხლის შესაბამისად, მთავრობის სხდომაზე განსახილველად, მთავრობის თანხმობის მისაღებად წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის წინადადებას საქართველოს კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულების თანახმად, ევროპის კავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წლის 13-იდან 16 მარტის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებით.

სამუშაო ვიზიტების ფარგლებში იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობის პირებთან (ქ. პარიზი), ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, ევროკომისიის პრეზიდენტსა და ევროპარლამენტის თავმჯდომარესთან (ქ. ბრიუსელი), ასევე იგეგმება ევროპარლამენტისადმი მიმართვა პლენარულ სესიაზე (ქ. სტრასბურგი).

დანართი: 1 გვერდი

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი  
გიორგი მსხილაძე





## საქართველოს პრეზიდენტი

### საქართველოს მთავრობას

მოგეხსენებათ, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე გარდამტები პერიოდია. ჩვენი ქვეყანა ელოდება წინასწარ შეფასებას ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის თაობაზე, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ევროპული ქვეყნების მხარდაჭერას საქართველოსათვის ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საფრანგეთის მზადყოფნა და სურვილი, განსაკუთრებული მხარდაჭერა გაუწიოს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად.

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7<sup>4</sup> მუხლის შესაბამისად, თანხმობის მისაღებად წარმოგიდგენთ წინადადებას საქართველოს კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულების თანახმად, ევროპის კავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წლის 13-იდან 16 მარტის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბელგიის სამეფოში სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებით.

სამუშაო ვიზიტების ფარგლებში იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობის პირებთან (ქ. პარიზი), ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, ევროკომისიის პრეზიდენტსა და ევროპარლამენტის თავმჯდომარესთან (ქ. ბრიუსელი), ასევე იგეგმება ევროპარლამენტისადმი მიმართვა პლენარულ სესიაზე (ქ. სტრასბურგი).

სალომე ზურაბიშვილი